„ტურიზმის სტრატეგია 2025“ - განვითარების ინდიკატორების შეფასება

მარიამ პაპუნაშვილი

მარიამ მესაბლიშვილი

ირინე უსუბიანი

ჯგუფი **N40**

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროექტის ხელმძღვანელი: ზურაბ ჭიაბერაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მარიამ პაპუნაშვილი

მარიამ მესაბლიშვილი

ირინე უსუბიანი

10 ივნისი 2016

აბსტრაქტი

საქართველოში ტურიზმი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ სექტორს, იგი განვითარების აქტიურ ეტაპზე იმყოფება და აქვს პოტენციალი კიდევ უფრო დიდი წვლილი შეიტანოს ქვეყნის შემოსავლების, დასაქმების და ინვესტიციების ზრდაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული "საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025", რომელშიც გაწერილია ტურიზმის განვითარების ფაქტორები და ინდიკატორები მომავალი ათი წლის განმავლობაში. კვლევის მიზანია განვითარების ძირითადი ინდიკატორების შეფასება და განსაზღვრა თუ რამდენად მიიყვანს ქვეყანას ეს სტრატეგია დასახულ მიზნამდე 2025 წელს. კვლევა ეფუძვნება მეორადი ინფორმაციის ანალიზს, რომელიც ძირითადად მოიცავს გასული წლების სტატისტიკურ ინფორმაცის ტურიზმის განხრით. კვლევის შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ 2015 წელს შემუშავებულ სტრატეგიაში სწორი აქცენტებია გაკეთებული ტურიზმის განვითარების კუთხით, თუმცა ბოლო წლების ტენდენციების გათვალისწინებით, ზოგიერთი ინდიკატორის განვითარების ტემპი და მიმართულება თანხვედრაში არ არის დასახულ მიზანთან. ანალიზმა აჩვენა, რომ განვითარების არსებული სტრატეგია დადებით გავლენას მოახდენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებაზე და შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში 2025 წელს საქართველოში ტურიზმის განვითარების დონე მიაღწევს დაგეგმილ მაჩვენებლებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ტურიზმის განვითარება, სტრატეგია 2025, განვითარების ინდიკატორები, საერთაშორისო შემოსვლები, ვიზიტორები, შემოსავლები ტურიზმიდან.

Abstract

Tourism in Georgia is one of the fastest growing sectors. Currently it is in a development stage and has the potential to contribute to the growth of the country's income, employment and investment. Therefor, the importance of Tourism Development Strategy 2025 eleborated by the Georgian National Tourism Administration is significant. The Strategy describes the main tourism development factors and indicators for the next ten years in Georgia. The object of the research is to evaluate the main indicators of tourism expansion and determine the possibilities of accomplishment the main goal by using the mentioned strategy. The research is based on the secondary information analysis which mostly includes statistic data of previus years' tourism development. According to the results of the study, the vision of tourism expansion shown in the Strategy is well focused, but following to sequence of previous year's tourism development pace and direction, there are some indicators which are not in correspondence with the target. Analysis has shown that the existing Strategy will make a favourable impact on Georgian tourism development and after adoption of the given recommendations, there is a high probability to be achieved the planned results in 2025.

Key words: tourism development, strategy 2025, development indicators, international arrivals, visitors, tourism income

მადლობა

მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების პროფესორს, ბატონ ზურაბ ჭიაბერაშვილს. მან დიდი დახმარება გაგვიწია სამაგისტრო თემის სწორად ფორმულირებაში და კვლევის მეთოდების განსაზღვრაში, რამაც მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა და აღნიშნულ ნაშრომს უფრო მეტი პრაქტიკული ღირებულება შესძინა.

ასევე, მადლობას ვუხდით საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას, უშუალოდ პირველადი წყაროებიდან ინფორმაციის მოპოვებაში დახმარების გაწევისთვის.